

UDC 347.771

SCOPUS CODE 1801

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-150-159>

საპატენტო ინფორმაციის გამოყენება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში

დავით ძამუკაშვილი	ინსტიტუტი ტექნიკური, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: dzdato@yahoo.com
თეიმურაზ ჩუბინიშვილი	ინსტიტუტი ტექნიკური, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: t.chubinishvili@gtu.ge
ეკატერინე მისაბიშვილი	ინსტიტუტი ტექნიკური, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 47 E-mail: e.misabishvili@gtu.ge

რეცენზენტები:

შ. გვარამაძე, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო ასოციაციის (AIPPI) საქართველოს ეროვნული ჯგუფის პრეზიდენტი, პატენტრწმუნებული

E-mail: info@gvaramadze.com

ზ. ლომსაძე, სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს პატენტრწმუნებული

E-mail: z.lomsadze@gtu.ge

თ. ურთმელიძე, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ასოცირებული პროფესორი, პატენტრწმუნებული

E-mail: t.urtmelidze@gtu.ge

ანოტაცია. სტატია, რომლის მიზანიც არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატენტო აქტივობის მაგალითით პრობლემის გამოკვეთა და მისი გადაჭრის გეზის ჩვენება, მკვეთრად გაზრდის სამეცნიერო კვლევების საგამომგონებლო შემოქმედებით დონეს. იგი ეხება საპატენტო ინფორმაციის როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენას

ტექნიკური მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი შრომის დასაწყისიდანვე, აგრეთვე მეცნიერ მკვლევართათვის გარკვეული რეკომენდაციის მიცემას აღნიშნული ინფორმაციის ეფექტური გამოყენების კუთხით. სამეცნიერო კვლევები ტარდება მეცნიერების ყველა დარგში, თუმცა სტატიის არსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია ტექნიკურ მეცნიერებათა სფეროში სამეც-

ნიერო-კვლევით საქმიანობაზე, რადგან საპატენტო ინფორმაცია აღწერს ტექნიკური ხასიათის ახალ ცოდნას. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ სასურველია ამაღლდეს საპატენტო ინფორმაციის გამოყენების დონე, რისი მნიშვნელობაც საინოვაციო და კვლევითი საქმიანობის განვითარების საქმეში საყოველთაოდ აღიარებულია. სტატიაში მოცემული დასკვნების გათვალისწინება გაზრდის სამეცნიერო კვლევების შედეგად ახალი გამოგონებებისა და ტექნიკური ცოდნის შექმნის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: გამოგონება; პატენტი; საგამომგონებლო დონე; საგამომგონებლო შემოქმედება; სამეცნიერო კვლევა; საპატენტო აქტივობა; სასარგებლო მოდელი; სიახლე.

შესავალი

საპატენტო ინფორმაციის მნიშვნელობა საინოვაციო და კვლევითი საქმიანობის განვითარების საქმეში საყოველთაოდ აღიარებულია. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (ისმო) განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ამ ინფორმაციის აუცილებელი გამოყენების საკითხებს, მისი ეფექტურად ორგანიზების ჩათვლით. ისმო-ს წიგნში [7] ვკითხულობთ: „საჭიროა, რომ საპატენტო სისტემა და მისი საპატენტო ინფორმაციის ასპექტი ადეკვატურად იყოს გაგებული და მიღებული როგორც მთავრობის განვითარების ძალისხმევის აუცილებელი კომპონენტი“. ბუნებრივია ეს გაგება უნდა გაიზიაროს კვლევითი საქმიანობით დაკავებულმა ყველა ორგანიზაციამ, მათ შორის, საქართველოს ტექ-

ნიკურმა უნივერსიტეტმა. ამ სტატიის მიზანია გამოიკვეთოს ის პრობლემა, რომლის გადაჭრაც მკვეთრად გაზრდის სამეცნიერო კვლევების საგამომგონებლო შემოქმედებით დონეს, რაც აისახება მაღალი ტექნიკური და კომერციული ღირებულების მქონე გამოგონებების/პატენტების მოპოვებაში. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ზოგადად საპატენტო ინფორმაციის გამოყენების მნიშვნელობის გაცნობიერების დონე მსოფლიოში დაბალია [12] და ცხადია არც საქართველო არის ამ კუთხით გამონაკლისი.

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დანიშნულებაა მეცნიერების ამა თუ იმ დარგში არსებული ცოდნის შესწავლის შედეგად განვითარების მიმართულებების გამოვლენა, აქტუალური პრობლემების დასახვა და მათი გადალახვის საკუთარი მიგნებების შესაბამისი ახალი ცოდნის წარმოჩენა. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგი აისახება სამეცნიერო-კვლევით ანგარიშში, რომელშიც გადმოიცემა აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზები, მიგნებული თეორიული და გამოყენებითი გამოკვლევების, ექსპერიმენტების ჩატარების საფუძველზე.

ძირითადი ნაწილი

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაწყებას წინ უძღვის იმ ტექნიკური პრობლემის გამოვლენა, რომლის მიმართაც საჭიროა ჩატარდეს სამეცნიერო-ტექნიკური კვლევები. როგორც წესი, თავდაპირველად განისაზღვრება ის მახასიათებლები, რომლებიც უნდა მიიღწეს, რათა სამუშაო დასრულდეს მაღალხარისხოვნად და ისე, რომ ჩასატარებელმა სამეცნიერო კვლევამ ახალი ცოდნა წარმოქმნას. კვლევით ორგანიზაციაში, მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომ სტუ)

რომელიმე სამეცნიერო ინსტიტუტში, სამეცნიერო კვლევის თემატიკა და ჩატარების ეტაპები რომ დამტკიცდეს, პირველ რიგში საჭიროა დასაბუთდეს საკვლევი თემის აქტუალობა იმ ამოცანის გამოკვეთით, რომელიც უნდა გადაიჭრას. დასაბუთებისთვის, გარდა პრობლემატიკის ლიტერატურული შესწავლისა, შეიძლება საჭირო იყოს პილოტური კვლევის ჩატარება და მის საფუძველზე პირველადი მონაცემების მიღება [9; 15], რაც იქნება საფუძველი მომავალი სამეცნიერო კვლევის პერსპექტიულობის განსაზღვრისა.

იმის გათვალისწინებით, რომ თემატიკის პირველადი მონაცემები უნდა იყოს ცნობილი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დამკვეთი ორგანიზაციისთვისაც და საწარმოსთვისაც, როცა ასეთი სამუშაო სრულდება, მაგალითად, სტუ-ის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ რომელიმე საწარმოს დაკვეთით საპატენტო საინფორმაციო კვლევა სასარგებლო იქნება კერძო სამართლის საწარმოებისთვისაც, რომლებიც დაკვეთის შემთხვევაში ვალდებული არიან ტექნიკური დავალება მისცენ არჩეულ სამეცნიერო ინსტიტუტს. თავის მხრივ ინსტიტუტიც უნდა ფლობდეს საკვლევი თემატიკის თანამედროვე მონაცემებს, არსებული პრობლემატიკის მიმართულებებსა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სარწმუნო ინფორმაციას, რომელიც იქნება ტექნიკურად გამართლებულიც და კონკურენტულიც. ყოველივე აღნიშნულის მოძიება და დაუფლება შესაძლებელია საპატენტო ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის მეშვეობით.

საპატენტო ინფორმაცია მკვლევარს საშუალებას აძლევს გაეცნოს, მოცემული ტექნიკური პრობლე-

მიდან გამომდინარე, გადაჭრის გზების რეტროსპექტულ და უახლეს ინფორმაციას. იგი იქმნის ტექნიკური პრობლემის გადაჭრის სრულ სურათს. ანალიზის საფუძველზე მას ექმნება შესაძლებლობა, გამოავლინოს პრობლემიდან გამომდინარე დასახული მიზნის მიღწევის ტენდენციები და დასახოს ტექნიკური ობიექტის (პროდუქტის ან ტექნოლოგიური პროცესის) სრულყოფისკენ მიმართული გაუმჯობესების ან პიონერული მიგნების სამომავლო გეზი.

ამ სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „საპატენტო ინფორმაცია“ ნიშნავს უფასოდ ხელმისაწვდომ და ფასიან საჯარო მონაცემთა ეროვნულ და საერთაშორისო ბაზებში დაპატენტებული და პატენტის გაცემამდე გამოქვეყნებული გამოგონებების შესახებ ინფორმაციას. ჩვეულებრივ, ქვეყნდება პატენტის მფლობელისა და გამომგონებლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, გამოგონების დასახელება, საპატენტო კლასიფიკაციის ინდექსი, გამოგონების განაცხადის შეტანის, გამოქვეყნების და გაცემის თარიღები, აგრეთვე, პატენტის მოქმედების სტატუსის შესახებ მონაცემები, მითითებები წინამორბედი ტექნიკის დონის შემადგენელ გამოგონებებზე, რომლებიც ახლომდგომია ტექნიკური არსით მოცემულ გამოგონებასთან, იმავე გამოგონებაზე სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული პატენტების (პატენტ-ანალოგები; პატენტების ოჯახი) შესახებ მონაცემები. მონაცემთა ბაზები მოიცავს ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას – გამოგონების სპეციფიკაციას (specification), რომელიც აერთიანებს გამოგონების შექმნისა და საგამომგონებლო იდეის განვითარების წინაპირო-

ბების აღწერას, დარგის სპეციალისტისათვის გამოგონების განხორციელების დაწვრილებით აღწერას და გამოგონების ფორმულას, ნახაზებს, თუ ისინი ახლავს გამოგონების აღწერას, აგრეთვე, რეფერატს (abstract), რომელიც გამოგონების არსს მოკლედ გამოხატავს. რეფერატი სასიგნალო დანიშნულებისაა სპეციალისტისა და მეცნიერისთვის.

ასევე, საპატენტო ინფორმაციას ეკუთვნის მონაცემები დაპატენტებულ გამოგონებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ, პატენტის დაგირავების და მფლობელობის ცვლილების შესახებ. როგორც ვხედავთ საპატენტო ინფორმაცია მოიცავს უახლეს და რეტროსპექტულ ტექნიკურ, იურიდიულ და კონკურენტული ხასიათის ინფორმაციას. ეს თავისებურება საპატენტო ინფორმაციას განსაკუთრებით მნიშვნელოვანს ხდის კვლევითი თემატიკის, პრობლემატიკისა და განვითარების ტენდენციების, აგრეთვე, კონიუნქტურული მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებათა გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის [8; 9], მათ შორის, კონკურენტების საპატენტო უფლებების დარღვევის თავიდან აცილებისთვის.

საპატენტო ინფორმაციის ანალიზი საშუალებას აძლევს მეცნიერს წარმოიდგინოს ფართო თუ ვიწრო ტექნიკური პრობლემის გადაჭრის გზებისა და მეცნიერული და პრაქტიკული მიმართების განვითარების ტენდენციის სტატისტიკური სურათი, პრობლემის გამოვლენის დასაწყისიდან თანამედროვე მდგომარეობამდე, წლების მიხედვით.

როგორც ვიცით, სამეცნიერო ორგანიზაციები – უნივერსიტეტები და სამეცნიერო ინსტიტუტები აყალიბებენ საკუთარ პოლიტიკას და ადგენენ სა-

მეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დასაფინანსებლად შეთავაზებისა და შესრულების წესებს. დამტკიცების პროცესშივე მნიშვნელოვანია ხელმძღვანელობამ იცოდეს სავარაუდო თანამედროვე მდგომარეობა შეთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. ამიტომ ძალზე სასურველია დასამტკიცებლად წარდგენილ პროექტს ახლდეს საპატენტო ინფორმაციის ანალიზი, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს შესწავლის აქტუალობას და გარანტია იქნება იმისა, რომ კვლევის შედეგი არ დაემთხვევა უკვე ცნობილს, ანუ კვლევა არ იქნება განმეორება იმისა, რაც აქამდე იყო ჩატარებული და შედეგი ცნობილია.

საპატენტო ინფორმაციის ანალიზი ამ კუთხით სარწმუნო პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რადგან ყველაზე ოპერატიულია – წლებით უსწრებს სამეცნიერო ნაშრომების, მათ შორის, მონოგრაფიებისა და სტატიების გამოქვეყნებას. მკვლევრები ერთმანეთის კონკურენტები არიან, რის შედეგადაც ქმნიან ტექნიკური და საექსპლუატაციო, აგრეთვე, სამომხმარებლო-კომერციული კუთხით გამორჩეულ სულ უფრო უკეთეს ახალ ობიექტებს. ასეთი პროცესის წასახალისებლად უნივერსიტეტები ახორციელებენ საკუთარ პოლიტიკას, რისი ნაწილიც არის წინასწარი საპატენტო კვლევების ანგარიშების წარმოდგენის პრაქტიკის დანერგვა.

ზოგადად ამ პოლიტიკას მიმართავენ გრანტების გამცემი ორგანიზაციები. აღნიშნულ წესს მისდევს საქართველოში გამოყენებითი კვლევებისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების გამცემი შოთა რუსთაველის სახელობის სა-

ქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი¹. იგი სავალდებულოდ მოითხოვს პატენტუნარიანობის შესახებ დასკვნის წარმოდგენას [4], საგრანტო პროექტის წარმდგენები ამ მოთხოვნას ასრულებენ და აწვდიან ფონდს დასკვნას პატენტუნარიანობის შესახებ, რომელსაც ადგენს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“². რა თქმა უნდა, ასეთი სერვისის არსებობა მისასალმებელია და შეუძლია მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, გამოყენებითი მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული იდეის პატენტუნარიანობის შეფასებისას. მაგრამ ეს სერვისი, რომელიც ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, ვერ უზრუნველყოფს მომავალი სამეცნიერო კვლევის თემატიკის პერსპექტიულობის შეფასებას, რადგან მისი ფუნქცია შემოსაზღვრულია უკვე მიღებული იდეის, ანუ ჩატარებული კვლევის შედეგის შეფასებით. სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის პერსპექტიულობის შეფასებას კი სხვაგვარი – მეცნიერული მიმართულების არჩევის მიზანდასახული, უფრო ფართო და პროგნოზული ანალიზი სჭირდება. აქედან გამომდინარე, გადაუდებელი ამოცანაა თავად უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერთა მიერ საპატენტო-საინფორმაციო წინასწარი კვლევის თავისებურებების ცოდნა და ამ ამოცანის პრაქტიკული განხორციელება. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს უნივერსიტეტში

შესაბამისი სტანდარტებისა და წესის დამკვიდრებას, რის შედეგადაც გამოყენებითი სამეცნიერო კვლევა ნაყოფად გამოიღებს შემოქმედებით მიღებებს, რომლებიც კომერციალიზაციასაც უფრო ადვილად დაეკმდებარება და პატენტუნარიანი იქნება, რადგან ტექნიკის მოცემულ დარგში არსებული ცოდნის გათვალისწინებით იქნება ჩატარებული სამეცნიერო-გამოყენებითი კვლევა [10; 12]. არცთუ იშვიათი იყო შემთხვევები, როცა დასრულებული სამეცნიერო კვლევა იმეორებდა საპატენტო ინფორმაციის ანალიზიდან ცნობილ შედეგს. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა კვლევის ჩატარების მიზნით გამოყოფილი თანხის გაუმართლებელ ხარჯვას. საქართველოსთვისაც არ იყო უცხო ასეთი შემთხვევები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს.

გასაკვირი არ არის, რომ საკვლევი თემატიკის წინასწარი საპატენტო საინფორმაციო შესწავლის პრაქტიკას მისდევნ თანამედროვე დასავლეთის კვლევითი ინსტიტუტები, თუმცა საქართველოშიც არსებობდა ასეთი წესი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. XX საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ, 1982 წელს, საბჭოთა კავშირის სივრცეში ამოქმედდა სახელმწიფო სტანდარტი [14] 15011-82 „საპატენტო კვლევების ჩატარების წესი“. ამ სტანდარტით ხელმძღვანელობა სავალდებულო იყო ტექნიკის (ტექნოლოგიური) ობიექტების დაგეგმარებაზე, შექმნაზე, წარმოებასა

¹ იგი ასეთად მიჩნეულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით.

² საქპატენტმა 2015 წელს დაწერა საპეციალური, წინასწარი მივების უფასო მომსახურება – საპატენტო-საინფორმაციო სერვისი, რომელიც თავდაპირველად იყო გამიზნული უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული ფონდის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროექტების შეფასებისთვის. ამჟამად ამ სერვისის შეუძლია მიმართოს ნებისმიერმა პირმა ვისაც აქვს დასაპატენტებლად განკუთვნილი საგამომგონებლო იდეა.

და გაუმჯობესებაზე მიმართული სამუშაოს ჩამატარებული ყველა სუბიექტისთვის. მის საფუძველზე სამინისტროებს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს ევალებოდა დარგობრივი სტანდარტების შემუშავება, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით. ის სავალდებულო არ იყო თავდაცვის სფეროს ორგანიზაციებისთვის. სტანდარტით საპატენტო კვლევები შემდეგნაირად განისაზღვრა: „საპატენტო კვლევები ამ სტანდარტის თანახმად გაიგება ტექნიკის ობიექტების ტექნიკური დონის, განვითარების ტენდენციების, პატენტუნარიანობისა და საპატენტო სიწმინდის კვლევა, საპატენტო და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის საფუძველზე“. ამ სტანდარტს ემორჩილებოდა მაშინდელი ყველა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში საკვლევი თემატიკის მიმართ საპატენტო-საინფორმაციო კვლევების სავალდებულო ერთიანი სტანდარტი აღარ არსებობს. როგორც ირკვევა არც დამოუკიდებელი კვლევითი ორგანიზაციები აქცევენ საკითხს სათანადო ყურადღებას. ამ და სხვა ფაქტორებმა მკვეთრად შეამცირა ეროვნული გამოგონებების რიცხვი მთლიანად საქართველოს მასშტაბით, ვითარება მსგავსია სტუ-ის და თსუ-ის განფენილობით, რაზეც მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი მონაცემები. საგამომგონებლო შემოქმედებითი აქტივობა საქართველოში ეროვნული საპატენტო უწყების „საქპატენტის“ ამოქმედების დღიდან – 1992 წლის 1 მაისიდან ასახულია ცხრილში.

გამოგონება განაცხადი		გამოგონება პატენტი		სასარგებლო მოდელი განაცხადი		სასარგებლო მოდელი პატენტი	
უცხოური	ეროვნული	უცხოური	ეროვნული	უცხოური	ეროვნული	უცხოური	ეროვნული
12844	5974	7710	3574	3027	2947	2171	2117

ცხრილის მონაცემების მიხედვით საქართველოში უცხო ქვეყნის განმცხადებლები უფრო აქტიური არიან ვიდრე ადგილობრივი, მათზე მოდის მიწოდებული განაცხადებისა და გაცემული პატენტების 54%-მდე. უკეთესი სურათია მცირე გამოგონებებთან დაკავშირებული აქტივობის მიმართ, ეროვნული განაცხადების შეფარდება უცხოურთან შეადგენს 97%-ს, გაცემული პატენტების მიმართაც თანაფარდობა თითქმის იგივეა და ეროვნულის

წილი შეადგენს 97,5%-ს. სასარგებლო მოდელების დაპატენტების უფრო მეტი აქტივობა ვიდრე გამოგონებებისა მიუთითებს ჩვენს ქვეყანაში საგამომგონებლო შემოქმედების დაბალ დონეზე. სასარგებლო მოდელი წარმოადგენს „მცირე გამოგონებას“. არსობრივი განსხვავება გამოგონებასთან მიმართებით მდგომარეობს შემოქმედების ნაკლებ დონეში, რაზეც პირდაპირ მეტყველებს საქართველოს საპატენტო კანონის 71¹ მუხლის პირველი პუნ-

ქტი [1]. „1. სასარგებლო მოდელი, რომელსაც აქვს გამოგონებაზე ნაკლები საგამომგონებლო დონე და თავისი არსით არის მცირე გამოგონება, დაცვისუნარიანია, თუ ის აკმაყოფილებს სასარგებლო მოდელის დაცვისუნარიანობის კრიტერიუმებს – სიახლეს, საგამომგონებლო დონესა და სამრეწველო გამოყენებადობას“. ის, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს საგამომგონებლო შემოქმედებით აქტივობასთან შედარებით დღევანდელი ეროვნული აქტივობა გაცილებით უფრო დაბალია, ერთი მხრივ განპირობებულია სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების რიცხვისა და თემატიკის შემცირებით, თუმცა, მეორე მხრივ, ასეთ ვითარებაშიც კი მეტი უნდა ყოფილიყო ყოველწლიურად მიწოდებული განაცხადების და, შესაბამისად, გაცემული პატენტების რიცხვი. საშუალოს თუ გამოვიყვანოთ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საქართველოში ყოველწლიურად გაცემული პატენტების რიცხვი შეადგენს სულ რაღაც 187-ს (ამდენი განაცხადი და მეტი ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოთა უწყებებში შედის ერთი დღის განმავლობაში), ხოლო საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში ეს რიცხვი აღემატებოდა 1500-ს

დასკვნა

თუ შევხედავთ სტუ-ის საგამომგონებლო შემოქმედებითი საქმიანობის აქტივობას, მივიღებთ შემდეგ სურათს: გასული 31 წლის განმავლობაში (2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) ჩვენი უნივერსიტეტის სახელზე გაცემულია 51 გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტი, რაც საშუალოდ წელიწადში შეადგენს 1,64 პატენტს. თუ გა-

ვანალიზებთ გამოგონებების და სასარგებლო მოდელის პატენტების რაოდენობრივ შეფარდებას, დავინახავთ, რომ სტუ-ის სახელზე გაცემულია 12 სასარგებლო მოდელის პატენტი, აქედან უმეტესობა 2024 წელს – 7 პატენტი, რომლებიც გაიცა 2023 წლის 5 და 2022 წლის 2 განაცხადის საფუძველზე. ბოლო სამი წლის განმავლობაში განაცხადების შეტანის სტატისტიკა შემდეგია: 2021 წ. – 2 (1 გამოგონებისა და 1 სასარგებლო მოდელის განაცხადი), 2022 წელს – 3 (1 გამოგონებისა და 2 სასარგებლო მოდელის), 2023 წელს – 5, ყველა სასარგებლო მოდელის განაცხადია. 2024 წელს, ამ სტატიის დაწერიდან დღემდე, სტუ-ის სახელზე არც ერთი განაცხადი არ ყოფილა შეტანილი დასაპატენტებლად. სტუ-ის და თსუ-ის საგამომგონებლო აქტივობის შედარება გვიჩვენებს თსუ-ის კიდეც უფრო დაბალ აქტივობას. მის სახელზე 1992 წლიდან დღემდე მიღებულია 23 გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის პატენტი, აქედან 6 სასარგებლო მოდელისაა, ხოლო 17 – გამოგონების. სასარგებლო მოდელების შეფარდება გამოგონებების პატენტებთან შეადგენს 35%-ს.

სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს, რომ 2021–2023 წლებში თსუ-შიც და სტუ-შიც დასრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხასიათდებოდა დაბალი საგამომგონებლო შემოქმედებითი დონით, რადგან სტუ-ის განაცხადების საერთო რაოდენობიდან – 10, გამოგონებისაა მხოლოდ 2 განაცხადი, თსუ-ის განაცხადების საერთო რაოდენობიდან – 4 გამოგონებისაა 2. ამ ფაქტობრივი გარემოებიდან იკვეთება მხოლოდ ერთი დასკვნა – ჩვენი ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში საპატენტო საინფორმაციო კვლევებს არ ექცევა სათანადო ყურად-

ლება. აღნიშნულს ადასტურებს ტექნიკური ბაზებში არსებული სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ანგარიშების მონაცემები, სადაც არც ერთში არ არის პატენტებზე მითითება ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში. შესაბამისად ცხადია, რომ არან სათანადო დონეზე არ ტარდება თემატიკის შერჩევისა და დაგეგმვის წინ პერსპექტიულობის განსაზღვრის საპატენტო საინფორმაციო კვლევა. საგრანტო პროექტების წარდგენისას სტუ-ის მეცნიერებს აქვთ გარკვეული მონახაზი და საკვლევი თემატიკის არსის შესაბამისი საგამომგონებლო იდეები, რომელთა შემოწმება ხდება პატენტუნარიანობაზე. ასეთი შემოწმება, ბოლო 3 წლის მონაცემებიდან გამომდინარე, გვიჩვენებს გამოგონების მისაღებად საჭირო საგამომგონებლო დონესთან შეუსაბამო დაბალ შემოქმედებით დონეს, შედეგად, ნაცვლად გამოგონებისა სტუ-ის სახელზე შედის და

მოიპოვება სასარგებლო მოდელის პატენტი: 2023 წელს მხოლოდ სასარგებლო მოდელის პატენტებია მიღებული, ისიც სულ 5, ხოლო 2024 წელს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტუ-ის სახელით განაცხადი საერთოდ არ შეტანილა საქპატენტში.

ნამსჯელის შემდეგ შეიძლება გაიცეს რეკომენდაცია: საჭიროა გამოიცეს სტუ-ის ინსტიტუტებისთვის სავალდებულო დოკუმენტი, რომლითაც იქნება ამოქმედებული მოთხოვნები და განისაზღვრება კრიტერიუმები საკვლევი სამეცნიერო თემატიკის არჩევისა და დაგეგმვის წინ საპატენტო საინფორმაციო კვლევის ჩატარებისთვის. საამისოდ სასარგებლო იქნება გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევებით დაკავებული მეცნიერებისთვის ჩატარდეს საპატენტო ინფორმაციის კვლევა-ძიების საქმეში უნარების ამაღლების პრაქტიკული ღონისძიებები.

ლიტერატურა

1. Patent Law of Georgia, consolidated publication. 15/05/2024.
2. Law of Georgia on Georgian National Academy of Sciences. 14/12/2007.
3. Law of Georgia on Science, Technology and Their Development. 22/11/1994)
4. Law of Georgia on Grants. 14/12/2006.
5. Resolution No. 84 of the Government of Georgia of February 16, 2011 “On State Scientific Grants for Fundamental Research”
6. Order No. 130/N of the Minister of Education and Science of Georgia of October 5, 2015; “On Approval of the Rules and Conditions for Grant Financing of Master's Degree Students' Educational and Research Projects”.
7. WIPO Intellectual Property Handbook, WIPO publication No 489(E), WIPO 2004.
8. WIPO Guide to using patent information, WIPO, 2021. <https://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo-pub-rn2021-1e-en-wipo-guide-to-using-patent-information.pdf>
9. The Role of Patent Information in Supporting Innovation
https://www.wipo.int/edocs/mdocs/sme/en/wipo_smes_rom_09/wipo_smes_rom_09_e_workshop02_1-related1.pdf

10. Bridging the Innovation Gap: Leveraging Patent Information for Scientists by Constructing a Patent-centric Knowledge Graph, by Hidir Aras, Rima Dessi, Farag Saad and Lei Zhang. <https://ceur-ws.org/Vol-3697/short1.pdf>
11. The Use of Patent information in industry, by J. Stephenson.
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S017221908290045X>
12. The scientific information provided through patents and its limited use in scientific research at universities, by Cristiano Gonçalves Pereira, Rodrigo Ribeiro da Silva & Geciane Silveira Porto. Brazilian Journal of Science and Technology volume 2, Article number: 2 (2015).
13. GOST 15.011-82. "Procedure for conducting patent research".
14. Ryabokon, M. S., Skuibin, B. G. & Shcheglov, D. K. (2019). Patent research as a tool for analyzing the market of technical solutions. Management Consulting, N11, pp.155-162.

UDC 347.771

SCOPUS CODE 1801

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-150-159>

Using Patent Information in Research Activities

- David Dzamukashvili** Department of Analysis and Information Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava str.
E-mail: dzdato@yahoo.com
- Teimuraz Chubinishvili** Department of Analysis and Information Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava str.
E-mail: t.chubinishvili@gtu.ge
- Ekaterine Misabishvili** Department of Analysis and Information Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 47, M. Kostava str.
E-mail: e.misabishvili@gtu.ge

Reviewers:

Sh. Gvaramadze, President of the Georgian National Group of the International Association for the Protection of Intellectual Property (AIPPI), Patent Attorney, GTU

E-mail: z.lomsadze@gtu.ge

Z. Lomsadze, Professor, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU

E-mail: z.lomsadze@gtu.ge

T. Urtmelidze, Associate Professor, Law and International Relation, Patent Attorney, Lawyer, GTU

E-mail: t.urmelidze@gtu.ge

Abstract. The purpose of the article is to identify the problem and show the direction of its solution using the example of patent activity at Georgian Technical University, which will dramatically increase the inventive creative level of scientific research. It concerns highlighting the role and importance of patent information from the very beginning of technical scientific research work, as well as providing certain recommendations to research scientists regarding the effective use of this information. Scientific research is conducted in all fields of science, however, based on the essence and objectives of the article, attention is focused on scientific research activities in the field of technical sciences, as patent information describes new knowledge of technical nature. Statistical data suggests that it is desirable to raise the level of patent information usage, the importance of which is universally recognized in the development of innovation and research activities. The taking into account of the conclusions given in the article will increase the possibility of creating new inventions and technical knowledge as a result of scientific research.

Keywords:

Inventive level; Inventive creativity; Invention; Novelty; Patent; Patent activity; Scientific research; Utility model.

განხილვის თარიღი 24.01.2025

შემოსვლის თარიღი 27.02.2025

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025